ბრძანება:**ბ44. 4423039117**
თარიღი:**08/02/2023**

მოქალაქე იესავ ნიგურიანის წარმომადგენლის თამილა წიქარიშვილის 2021 წლის 31 მარტის N19/4421090208-44 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

2021 წლის 31 მარტს N19/4421090208-44 ადმინისტრაციული საჩივრით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა იესავ ნიგურიანის წარმომადგენელმა თამილა წიქარიშვილმა და მოითხოვა „მოქალაქე იესავ ნიგურიანის დაჯარიმების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 25 თებერვლის Nდ-05.44210567 დადგენილების ბათილად ცნობა.

მითითებულ ადმინისტრაციულ საჩივარზე 2022 წლის 7 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ზეპირი განხილვა, რა დროსაც დადგინდა, რომ არ არსებობს მოქალაქე იესავ ნიგურიანის წარმომადგენლის თამილა წიქარიშვილის 2021 წლის 31 მარტის N19/4421090208-44 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

გამომდინარე ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან და თანახმად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების, 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, მე-100, 178-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 60 1 მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის "„ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების, 22-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 116-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უარი ეთქვას მოქალაქე იესავ ნიგურიანის წარმომადგენელს თამილა წიქარიშვილს 2021 წლის 31 მარტის ადმინისტრაციული საჩივრის N19/4421090208-44 დაკმაყოფილებაზე.

2. უარი ეთქვას მოქალაქე იესავ ნიგურიანის წარმომადგენელს თამილა წიქარიშვილს „მოქალაქე იესავ ნიგურიანის დაჯარიმების შესახებ” ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 25 თებერვლის N№-05.44210567 დადგენილების ბათილად ცნობაზე.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქ. N11/ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი